ბრძანება:**ბ47. 4723333001**

თარიღი:**29/11/2023**

ბრძანება N 106

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-10 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 2023 წლის ნოემბრის თვეში უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეს (საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს ფრაქციის სხდომებში, დროებით სამუშაო ჯგუფებში მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე, მოქალაქეებთან გასვლითი შეხვედრებისათვის და ადმინისტრაციული შენობაში მათი მიღებისთვის) დანართის შესაბამისად;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი